

სპერული სააკვნო ლექს-სიმღერები¹

LULLABY POEMS AND SONGS OF SPERI

თინა შიოშვილი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Tina Shioshvili

Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

აბსტრაქტი

სააკვნო ლექს-სიმღერები და მათი შესრულების ტრადიცია ბოლო დრომდე შემოინახეს საქართველოს უძველეს რეგიონში – სპერში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მოწყვეტილია საქართველოს და, სამწუხაროდ, ასწლეულებია, რაც იქ ქართული მეტყველება აღარ ისმის.

მიუხედავად ისტორიული პერიპეტიებისა, სპერში – ბაგრატიონთა ისტორიულ სამემკვიდრეოში, დღემდე ისმის ქართული ხალხური სააკვნო ლექს-სიმღერის – „ნანა“ / „ნანინა“ – მათეური ლექსემა: „ნინი“ / „ნინინი“, რაც ზოგადქართული და ზოგადკავკასიური ქალღმერთის – ნანას სახელწოდებიდან მომდინარეობს. სპერულ „ნინი“ // „ნინინი“ ქართული „ნანების“, განსაკუთრებით კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სააკვნო ლექს-სიმღერათა ვარიანტების მსგავსია, რაც იმის დასტურია, რომ სპერელთა ისტორიულ მესხიერებაში მყარად არის ჩაბუდებული ეროვნული ტრადიციების, იდენტობის გენეტიკური კოდი, რამაც, ფოლკლორის სხვა ჟანრებთან ერთად, სააკვნო ლექს-სიმღერებშიც იჩინა თავი.

სპერის სოფლებში მრავლად ჩავიწერეთ სააკვნო ლექს-სიმღერები, რომლებსაც ასრულებენ ქალები – დედები და ბებიები, პათოსი კი ისეთივეა, როგორიც – ქართულში: სპერელებიც ბავშვს ეალერსებიან, უქმნიან სათანადო მყუდრო გარემოს დასამინებლად.

სპერული სააკვნო ლექს-სიმღერები როგორც ლექსიკურად, ისე შინაარსობრივად და, აგრეთვე, განწყობა-ხასიათის მხრივაც მსგავსია ზოგადქართული „ნანებისა“; ირივეგან შემორჩენილია როგორც უძველესი მსოფლმხედველობის ნიუანსები, ისე სამეურნეო-ყოფითი რეალიები. ამისი ნათელი დასტურია ლექს-სიმღერათა ტექსტებში ცხოველებისა თუ ფრინველების „გაძევების“ მაგალითები, როგორიცაა მეგრული „სისა ტურა“ და, აგრეთვე, საქართველოს სხვა რეგიონების ტრადიციული სააკვნო ლექს-სიმღერები.

¹ ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის – „სპერი, ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (FR – 23- 69-19) ფარგლებში.

სპერულ „ნინინებში“ ხშირია რიტმული განმეორებანი, რაც განსაკუთრებულად დამახასიათებელია ქართული სააკვნო ლექს-სიმღერებისათვის და რაც აშკარად მიუთითებს ლექსიკური პრინციპისაკენ – გარითმვისაკენ ამ ტექსტთა მისწრაფებაზე.

ასწლეულების ქართულენოვანი დუმილის მიუხედავად, საქართველოს ძირძველი კუთხის – სპერის მოსახლეობის ისტორიულმა მეხსიერებამ მაინც შემოინახა ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიული ყოფის გენეტიკური მახსოვრობის ბევრი ნიუანსი და მათ შორის, ბუნებრივია, უნდა მოვიხსენიოთ სააკვნო ლექს-სიმღერებიც.

საკვანძო სიტყვები: ქართული ფოლკლორი, სააკვნო ლექს-სიმღერები, სპერი.

ABSTRACT

Lullaby poems and songs and their performance tradition have been preserved until recently in Speri, one of Georgia's oldest regions, which has been isolated from Georgia for centuries. In 1578, the Ottoman Empire finally annexed it, and unfortunately, the Georgian language has not been heard there for centuries.

Despite historical adversities, the Georgian folk lullaby Nana / Nanina can still be heard in Speri—the historical territory of the Bagrationi dynasty. The lyrics of this lullaby feature the local lexeme Nini / Ninini, which stems from the name of the widely recognized Georgian and Caucasian goddess, Nana. The Sperian Nini / Ninini closely resembles the Georgian Nana lullabies, particularly the versions of lullaby poems and songs prevalent in the southwestern regions of Georgia. This indicates that the genetic code of national traditions and identity is deeply ingrained in the historical memory of the Sperians, manifesting itself in lullaby poems and songs along with other folklore genres.

In the villages of Speri, we collected numerous lullaby poems and songs, recording them both in written form and in audio and video formats, performed by women—mothers and grandmothers—with the same emotional depth as in Georgian lullabies: the people of Speri gently comfort their children, creating a warm and cozy space for sleep.

The Sperian lullaby poems and songs share similarities with the general Georgian Nanas both lexically and in terms of content, as well as in mood and character. Both preserve nuances of the ancient worldview as well as household and economic realities. This is clearly illustrated in the texts of these poems and songs, which include examples of “chasing away” animals or birds, such as the Megrelian Sisa Tura and the traditional lullabies from other regions of Georgia.

In the Sperian Nininis, rhythmic repetitions are frequent, which is particularly characteristic of Georgian lullaby poems and songs. This clearly reflects a tendency in these texts toward a lexical principle – rhyming.

Thus, even with the enduring silence in the Georgian language over the centuries, the historical memory of the population of Speri – an ancient region of Georgia – has nevertheless preserved numerous nuances of oral tradition and the genetic memory of ethnographic life. Among these, we should naturally mention lullaby poems and songs.

Keywords: Georgian folklore, Lullaby poems and songs, Speri.

შესავალი

ქართული ხალხური სიმღერა „ნანა“, „ნანინა“, რომელსაც ბავშვის დაძინების დროს ასრულებენ და ტრადიციულად „სააკვნო სიმღერად“ მოიხსენიებენ, ჩვენი ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული და თავისთავადი, უაღრესი ეროვნულობით დამუხტული ჟანრია; იგი ქალთა რეპერტუარია, დედათა სიმღერაა და ძველთაგან, ბავშვთა დაძინების ფუნქციის გარდა, ზნეობრივი მოძღვრის ფუნქციაც ეკისრებოდა.

სააკვნო ლექს-სიმღერები და მათი შესრულების ტრადიცია მშობლიურ ენაზე ბოლო დრომდე შენარჩუნებული ისტორიულ ქართულ კუთხეებში – საინგილოში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში და თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის. ბოლო დრომდე ქართულმა საზოგადოებრიობამ არ იცოდა, როგორი ვითარებაა ამ (და ზოგადად ქართული კულტურის) თვალსაზრისით საქართველოს უძველეს ისტორიულ რეგიონში – სპერში, რომელიც 1570-იანი წლების ბოლომდე საქართველოს შემადგენლობაში იყო, ხოლო 1578 წელს საბოლოოდ მიიტაცა ოსმალეთმა. მას შემდეგ ამ მრავალჭირნახულ ქართულ პროვინციაში ეროვნული მეობის მივიწყების, ქართული სულის ამოძირკვის ძალდატანებითი, იძულებითი ღონისძიებები ტარდებოდა და, სამწუხაროდ, თითქმის ხუთი საუკუნეა, აქ ქართულად აღარ უბნობენ. ვერავინ იტყვის, აქაურ „ნაგუბარში“ ოდესმე ჩადგება თუ არა ის წმინდა წყალი, რაც ყოველთა ქართველთა სანუკვარია... მანამდე კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო ცენტრის მიერ 2024 წლის ზაფხულში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის – „სპერი, ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ (FR-23-6919) – ფარგლებში მოწყობილმა კომპლექსურმა ექსპედიციამ მოიპოვა სათანადო მასალა, რომლითაც დასტურდება, რომ, გარდა უტყუარი „დედამიწის ენისა“ – ტოპონიმიკისა, სპერელთა ისტორიულ მეხსიერებას შემოუნახავს ტრადიციული ფოლკლორული ნიმუშები, მათ შორის – ყმაწვილთა დასაძინებელი არქაული სააკვნო ლექს-სიმღერები, იგივე „ნანები“, ანუ „ნანინები“.

კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

მსჯელობა

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი უძველესი რეგიონი – სპერი დედاسამშობლოსთან საუკუნეებით მოწყვეტილია და დღეს სპერის მცხოვრებლების ისტორიული მეხსიერებაც უკიდურესად შესუსტებული და მინავლებულია, მათ მაინც შემორჩენიათ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ცალკეული ნიუანსები. სპერელთა სააკვნო ლექს-სიმღერებიც ამ პოზიციიდან უნდა შეფასდეს.

ჩვენ მიერ დაფიქსირებული სპერული სააკვნო სიმღერების უმეტესობაში ბავშვებისადმი მიმართული საალერსო სიტყვების თავსა თუ ბოლოში, როგორც ტრადიციულ ქართულ ხალხურ „ნანებში“, აუცილებლად ითქმება მაგიური სიტყვა, როგორიც არის „ნინი“, / „ნინინი“, რაც ზოგადქართულშიც ამ ჟანრის სიმღერათა სტილური თავისებურებაა,

ითავსებს მიმართვის მკაფიო ფუნქციას და, ამავე დროს, ყურადღების მოზიდაზიას ისახავს მიზნად (ზანდუკელი 1980: 22-23). რაც შეეხება თავად ტერმინს „ნინი“, „ნინინი“, ოდენ „ნანასა“ და „ნანინას“ ფონეტიკურ სახეცვლილებად მიგვაჩნია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ფიქსირდება როგორც „ნანა“, ისე „ნანინა“, „ნანი-ნანინა“, „ნანი, ნანი“, „ნანი, ნანა, ნანინა“, „ნანისნანა“ და სხვა. დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ისტორიული საქართველოს მკვიდრ შავშელებში დასტურდება „ნანინა“, კლარჯელებში – „ნანი“, „ნანინა“, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში – „ნანი“, „ნანა“, „ნენი“.

სპერში, სოფელ ჩამლიქიას უბანში – ბაშ იურთში, 70 წლის ნეჯაილ შიმშექისაგან ჩაწერილი ბავშვის დასაძინებელი სიმღერა მთქმელმა „ნინინის“ სახელით მოიხსენია:

დაიძინე, ჩემო შვილო,
ჩემო პატარავ!
ი...ი...ი...ი...ი...ი...
საღამოს მოვედი,
რომ შენ „ნინინი“ გითხრა.
ი...ი...ი...ი...ი...ი...²

„ნინის“ სახელით მოიხსენიებენ სააკვნო სიმღერას სოფელ დევედაღშიც. 45 წლის ბელმა ქოქთურქისაგან ჩაწერილი ბავშვის დასაძინებელი სიმღერა ამგვარია:

დანდინი, დანდინი, დასთანა,
ხბოები შესულან ბოსტანში.
გარეკე, მეზღავ, ხბოები,
არ შეჰამონ ფხალი!
დაიძინოს და გაიზარდოს, ნინი,
იზაჯზაჯოს, იზაჯზაჯოს, ნინი!..

სოფელ იედი გოზეში, რომლის ძველი სახელია ქერაფი (ალბათ, ქარაფი – თ. შ.), 70 წლის ნაჯიე ბილუჯესაგან ჩაწერილი ბავშვის დასაძინებელი სიმღერაში ტრადიციული მისამღერი არ ჩანს:

დაიძინოს და გაიზარდოს
ჩემი პატარა,
კარგი დღეები ნახოს!
ნელ–ნელა იზაჯზაჯოს!..

ბუნებრივია, სპერში ისტორიულ ქართულ მოსახლეობასთან ურთიერთობისას ქართულ კვალს ვეძებდით და „ნინის“ თუ „ნინინის“ შემთხვევით ფრაზეზად ვერ მივიჩნევდით. მართალია, სოფელ ჩათაქქაიში (ძველი სახელია „ჩინა“ / „ჩური“, რაც წყლიან, მწვანე ადგილს ნიშნავს) 69 წლის ზეინაზ ქოჩაქი გვარწმუნებდა, „ჩვენ კავკასიელი თურქები ვართო“ და ამ ადგილებში 3–5 საუკუნეა, რაც ვბინადრობთო, თანაც „ადრე ერმენები (სომხები – თ. შ.) იყვნენ აქო“, ხოლო სოფელ ახლათლის (ძველი სახელია დანზუთი) მკვიდრმა – 61 წლის აიშე ქარამანმა გვითხრა, „ქართველები აქ

² ნაშრომში მოხმობილი ნარატივების თარგმანები თურქულიდან ეკუთვნის ბსუ პროფესორ ზაზა შაშიკაძეს, ბსუ ასოცირებულ პროფესორს ლია ჭყონიას და ქ. რიზეს (თურქეთის რესპუბლიკა) რეჯებ ტაიდ ერდოღანის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს გულ–მუქქერემ ოზთურქს.

არ გამიგია, სომხები ყოფილან, ძირითადად კი თურქები ვცხოვრობთო“, მაგრამ ქართველთა და კავკასიელთა საერთო დიდი დედის – ნანას მადლის ნაკვალევი მაინც გვეიმედებოდა და ყველა ქალბატონს ბავშვის დასამძინებელი ტექსტების წამღერებას ვთხოვდით. ქართული ანდაზისა არ იყოს, „ემიებდე და პოვებდეო“, მართლაც, მოვისმინეთ სანატრელი „ნანა“: სოფელ ნუმანფაშაში მცხოვრები ეგეების ოჯახის ორივე რძალმა თავ-თავისი ვარიანტი ჩაგვაწერინა. 59 წლის ზეკიე ეგე დაჯდა ტახტზე, ფეხები სიგრძეზე გაწვართა, ზედ მუთაქა დაიწვინა (ვითომ ჩვილი), ფეხებს აკვანივით რწევა დაუწყო და უმღერა:

ხბო მოვიდა, ხბო მოვიდა, ნანაჲ, ნანაჲნა,
ძალიან უშნო დედა ყავს! ნანაჲ, ნანაჲნა,
რა ლამაზი ბებია ყავს! ნანაჲ, ნანაჲნა.
დანდინი, დანდინი, რა სჭირს?
ყელზე ყელსაბამი აქვს.
გაჩუმდით, გაჩუმდით, ბავშვებო,
მესუთს ეძინებაო!

მთქმელის განმარტებით, ამ სიმღერას ბებია უმღერის ჩვილს და თითქმის უწყრება დედას, მტირალი შვილის გვერდით რომ არ არის; თანაც, თავს იქებს.

49 წლის ქადერ ეგემ კი მისამღერებით უფრო გავრცობილი ორი ვარიანტი გვიმღერა, რომლებშიც დღეს გავრცელებული „ნინიც“ გამოიყენა და, ალბათ, უფრო არქაული ფორმა „ნანაც“:

დანდინი, დანდინი, დასტანა,
ხბოები შესულან ბოსტანში.
გარეკე, მეზაღვე, ხბოები,
არ შეჭამონ ფხალი!
დაიძინოს და გაიზარდოს!
ნინი... ნინი...
ბაჯბაჯით იაროს,
ნინი... ნინი...

* * *

დანდინი, დანდინი, ნესი ვარ,
ნადნინი, ნადნინი, ნანაჲნაჲ, ნაჲ,
ნანიჲ, ნადნაჲნაჲ, ნანანიჲნაჲ,
ნადნინი, ნადნინი, ნანაჲნაჲ.
ყელზე ყელსაბამი აბია,
ნადნინი, ნადნინი, ნანაჲნაჲ, ნაჲ,
ნანიჲ, ნადნაჲნაჲ, ნანანიჲნაჲ,
ნადნინი, ნადნინი, ნანაჲნაჲ.
გაჩუმდით, ბავშვებო, გაჩუმდით!
ნადნინი, ნადნინი, ნანაჲნაჲ, ნაჲ,
ნანიჲ, ნადნაჲნაჲ, ნანანიჲნაჲ,
ნადნინი, ნადნინი, ნანაჲნაჲ.
მეზუთეს ეძინებაო.
ნადნინი, ნადნინი, ნანაჲნაჲ, ნაჲ,
ნანიჲ, ნადნაჲნაჲ, ნანანიჲნაჲ,
ნადნინი, ნადნინი, ნანაჲნაჲ.

სოფელ გულბაღში (ძველი სახელია ვარჭური) მცხოვრებმა 75 წლის ჰანიფე დაიანმა, რომელიც გვიმტკიცებდა, „ძველად აქ ერმენები (სომხები – თ. შ.) ცხოვრობდნენ, ახლა თურქები ვართო“, ბავშვის დასადინებელ სიმღერას „ნინი“ უწოდა, სამღერ ტექსტში კი „ნენნე“ ფორმა გამოიყენა:

ნენნე ჩემს შვილს, ნენნე,
დაიძინოს და გაიზარდოს
ჩემმა ლამაზმა გოგომ!

ი...ი...ი...ი...ი...ი...

მანაც ჩვილის ფეხებზე დაწვენიდა და აკვნისებურად რწევით შეასრულა ეს სიმღერა.

ჩვენ მიერ მოპოვებული სპერული სააკვნო სიმღერები როგორც ლექსიკურად, ისე შინაარსობრივად და განწყობა-ხასიათის მხრივაც გამოხატავენ მსგავსებას ზოგადქართულ „ნანებთან“. მართალია, ჩვილის მიმართ ყველა ხალხის სააკვნო ლექს-სიმღერებში გადმოცემულია დედათა საუკეთესო საალერსო სიტყვები, მაგრამ სპერულ „ნანებში“ მაინც შემორჩა ბევრი ნიუანსი ქართული ხასიათისა, ტრადიციებისა. უპირველესად ეს ითქმის სააკვნო ლექს-სიმღერებში ძალზე მკაფიოდ შემორჩენილი ყოფითი ხასიათის წარმოჩენაზე, რომელსაც არქაიკაში შესაძლებელია, ანიმისტური მსოფლმხედველებაც (ძილის სულიერად წარმოდგენა) ასაზრდოებდა, მაგრამ ბოლო ხანებში ადამიანთა სამეურნეო-ყოფით რეალიებს უკავშირდება. ამის მკაფიო მაგალითია მთიულური ნანა:

ნანა, ნანა, აქა, ქა, ქა!..
დაიძინე, დაიძინე, მგელი მოდის!
ნანა, ნანა, ქათამი მოდის!
აქა, ქა, ქა! (ქზ 1979: 114).

მსგავსი ვითარების – ცხოველებისა თუ ფრინველების „გაძევების“ – მაგალითია მეგრული „სისა ტურაც“. სააკვნო ლექს-სიმღერათა ეს სტილური თავისებურება შემონახულია სპერულ „ნანებშიც“. ამ მხრივ საინტერესოა ნუმანფაშური ვარიანტები: „ხბო მოვიდა, ხბო მოვიდა...“; „ხბოები შესულან ბოსტანში, გარეკე, მეზადე, ხბოები, არ შეჭამონ ფხალი!“

სამეურნეო-ყოფითი ნიუანსები ხშირი იყო ქართველ მშრომელთა ტვირთმძიმე ცხოვრებაში, რაც სათანადოდ აისახა ქართულ „ნანებში“. ერთი მთიულური „ნანას“ ლეგენდური ისტორია ამგვარია: აკვანში მწოლიარე ბავშვი დედას სამკალში დავიწყებია; მოფრენილან მტრედები და ანგელოზები, შემსხდარან აკვნის კამარაზე; ანგელოზები, თურმე აკვანს არწევდნენ, მტრედები „ნანინას“ დალულუნებდნენ ამ სიტყვებით:

ნანასა, ნანუკელასა,
სამკალზე გაჩენილასა!
დილაზე დედა მიუვა,
მიუტანს ძუძუკელასა,
ჩვენ ქადა-პურებს მოგვიტანს,
ერბოთ გულგაჭედილებსა (ქზ 1979: 114).

კლარჯული „ნანას“ ერთ ვარიანტში დედა ეხვეწება ჩვილს:
ნანი, კუკულო, ნანი,
დეძინე, წევდეთ ყანაში!..

(შიოშვილი 2017: 425).

საყურადღებოა, აგრეთვე, სპერულ სააკვნო ლექს-სიმღერათა ზოგიერთი სტრიქონის დასაწყისში რიტმული განმეორებანი, რაც უსათუოდ გარკვეული მუსიკალურ-სტილური ნიუანსია და, ასევე, ახასიათებს ქართულ საყნაწვილო პოეზიასაც: დევედალური „ნანა“ იწყება სტრიქონებით: „დანდინი, დანდინი, დასთანა...“; ნუმანფაშური სააკვნო ლექს-სიმღერის ერთ-ერთი სტრიქონიც მიჯრით იმეორებს ამავე სიტყვებს: „დანდინი, დანდინი, რა სჭირს?...“, რაც, როგორც აღვნიშნეთ, რიტმულ-სტილური თავისებურებაა; როგორც მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი აღნიშნავს, ამგვარ განმეორებებსაც მიმართვის ფუნქცია აკისრია და ობიექტის წარმოჩენას ისახავს მიზნად. ამგვარ სიტყვათა განმეორებას კი არა აზრობრივი, არამედ ლექსიკური პრინციპი – გარითმვისაკენ მიდრეკილება ახასიათებს (ზანდუკელი 1989: 25–26). ამგვარი დასაწყისისაა, აგრეთვე, ქართული ხალხური საყნაწვილო პოეზიის მრავალი ნიმუში“

კახური: ადანდალი, დანდალი,

ჩემი ოქროს შანდალი... (ქზ 1979: 360).

ქართლური: დანდლი, დანდლი, დანდალო,

დედის ოქროს შანდალო... (ქზ 1979: 132).

მესხური: დან-დან, დან შვილო,

ატმისა გულგაჭრილო... (ქზ 1979: 363).

ტაოური: დანდული, დანდული, დანდალა,

დანდული, დანდული, დანდალა...

წევდა, მოვა შენი ანა! (შიოშვილი 2022: 279).

საინტერესოა სპერულ სააკვნო ლექს-სიმღერაში თავჩენილი ერთი სახასიათო ნიუანსიც: როგორც ზემოთ მივანიშნეთ, ერთ-ერთ ნუმანფაშურ სააკვნო ლექს-სიმღერაში, რომელსაც ბებია უმღერის ჩვილს, გვხვდება იუმორისტული შეფერილობის სტრიქონები, რომლებითაც შექცეულია ბებია, ხოლო დედის მიმართ, რაკი იმ დროს ატირებულ შვილთან არ იმყოფება, გამოხატულია წყრომა:

...ძალიან უშნო დედა ყავს, ნანა ნანაძნა,

რა ლამაზი ბებია ყავს! ნანა ნანაძნა...

ამგვარივე ბებიას ნამღერი კლარჯული სააკვნო ლექს-სიმღერის იუმორისტული ასპექტიც:

ნანი, ნანი, ნანა,

ტურამ შეჭამოს შენი ანაი! (შიოშვილი 2017: 425).

ტაოელები კი ამგვარი ვითარებისას კატის შესაჭმელად „იმეტებენ“ ჩვილის დედას:

ნანი, ნანი, ნანა,

კატამ შიჭამა შენი ანა!

კიდევ დაგაქორწილავს

შენი აღა! (შიოშვილი 2022: 279).

დასკვნა

მრავალსაუკუნოვანი ქართულად უბნობის საბედისწერო „დიდი ღამის“ მიუხედავად, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული რეგიონის – სპერის მკვიდრთა ისტორიულმა მეხსიერებამ მაინც შემოინახა ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიული ყოფის გარკვეული გენეტიკური მახსოვრობის ნიუანსები, რამაც სააკვნო ლექს-სიმღერებშიც იჩინა თავი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბსუქცფა 2025: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორული არქივი.

ზანდუკელი 1989: ზანდუკელი ფ., წერილები საბავშვო ფოლკლორზე. თბილისი, 1989. გამომც. „ნაკადული“.

ქზ 1979: ქართული ხალხური პოეზია, ტ. 8. თბილისი, 1979. გამომც. „მეცნიერება“.

შიოშვილი 2016: შიოშვილი თ., შავშური ფოლკლორი. ბათუმი, 2016. გამომც. „აქარა“.

შიოშვილი 2017: შიოშვილი თ., კლარჯული ფოლკლორი. ბათუმი, 2017. გამომც. „აქარა“.

შიოშვილი 2022: შიოშვილი თ., ტაოური ფოლკლორი. ბათუმი, 2022. გამომც. „აქარა“.

შიოშვილი 2024: შიოშვილი თ., ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორი. თბილისი, 2024. გამომც. „საარი“.

References

BSUQCFA 2025: Archive of Batumi Shota Rustaveli State University of Humanities Centre for Kartvelian studies;

GFP 1979: The Georgian folk poetry. Tbilisi, 1979. Publishing house “Science”;

Shioshvili 2016: Shioshvili T., Shavshian folklore. Batumi, 2016. Publishing house “Ajara”;

Shioshvili 2017: Shioshvili T., Klarjian folklore. Batumi, 2017. Publishing house “Ajara”;

Shioshvili 2022: Shioshvili T., Taoian folklore. Batumi, 2022. Publishing house “Ajara”;

Shioshvili 2024: Shioshvili T., Folklore of the descendants of hte georgian muhajir’s. Batumi, 2024. Publishing house “Saari”.

Zandukeli 1989: Zandukeli F., The letters about Georgian child’s folklore. Tbilisi, 1989. Publishing house “Nakaduli”;